ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროცესის განხორციელების გამოწვევები

ბექა გოთუა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით მაისურაძე (ასოცირებული პროფესორი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2015

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია საქართველოს პენიტენციალური სისტემისა და ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისათვის მიმდინარე რეფორმების შესახებ. სამაგისტრო თემის პირველ ნაწილში განხილულია სახელმწიფოში არსებული მდგომარეობა აღნიშნული მიმართულებით, ასევე 2008 -2012 წლებში გატარებული ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკისა და მისი შედეგების შესახებ.

ნაშრომში მიმოხილულია სახელმწიფოში არსებული სარეაბილიტაციო პროგრამები. საერთაშორისო და სფეროში პირადი გამოცდილების გათვალისწინებით გამოვლენილია სისტემური ხარვეზები, მოყვანილია რეკომენდაციები პროგრამების ეფექტურობის გაზრდისა და სახელმწიფო რესურსების რაციონალური ხარჯვის გასაუმჯობესებლად.